# სახალხო გაზეთი

№ 757 შაბათი, 24 ნოემბერი 1912 წ. № 757

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულიად არ ინახება, ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური სა პოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## კანტორისაგან

1912 წ. პრემია „გრდემლის" მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

**სახალხო გაზეთი** სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 გიორგობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 1 მ. და 50 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისსათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.


ხვალ, კვირას, 25 დეკემბერს, გარდაცვალების წლის თავზე კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებული

**ნიკოლოზ ლუკას ძის ბაქრაძისა.**

რასაც აუწყებს მეუღლე მისი **ნინო რომანის ასული ბაქრაძისა შვილებით ქეთოთი და გოგითი.** წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი—12 საათზე. 821

**მღვდელი ხარიტონი** და **გაბრიელ ნიკოლოზის ძე ჯიმშელეიშვილები** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათი ძვირფასი ძმა

**გიორგი ჯიმშელეიშვილი.**

დასაფლავება დანიშნულია **კუხში** 25 ნოემბერს, ნაშუადღევის სამ საათზე. 1612.

**სვიმონ სიკოს ძე კილაძე** მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მისი ძვირფასი მეგობარი

**გიორგი ჯიმშელეიშვილი.**

დასაფლავება მოხდება კუხში. 1612.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

**შაბათს, 24 ნოემბერს,**

ქართული დრამატ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენ. იქნება:

**ქ-ნ ნ. ჯავახიშვილის საბენეფისოდ**

**მეორედ სრულიად ახალის მიზან-სცენებით**

ცნობილი ისტორიული პიესა ალ. სუმბათაშვილი-იუჟინისა **ღ ა ლ ა ტ ი,** დრამა 5 მოქ. თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

**ზეინაბის** როლს შეასრულებს ქ-ნი **ნ. ჯავახიშვილი.**

**ამ პიესისათვის დახატულია საგანგებოდ ახალი დეკორაციები მხატვარ გ. ნალებაშვილის** მიერ. ✦ **შეკერილია ახალი ტანისამოსი.** ✦

მონაწილეობენ: ქ-ნნი გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ქიქოძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, გედევანოვი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

**დასაწყისი სად. 8 საათზე.** ადგილ. ფასი საბენეფისო.

**ანონსი:** კვირას, 25 ნოემ. **დილით** წარ. იქნება „პატარა კახი". ისტორ. დრ. **აკაკისა.**

1578 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** ქართული დრამატ. საზოგად. ადმინისტ.

✦ **გამოსულია და იყიდება** ✦

**ნ. შიუკაშვილის**

პიესა **„მეგობრობა",** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ძლექისა,** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვისქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 777

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

**დილის წარმოდგენა**

კვირას, 25 ნოემბერს, 1912 წ. ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **აკაკი წერეთლის** ისტორიული პიესა

**პ ა ტ ა რ ა კ ა ხ ი**

დრამა 5 მოქ.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, გამყრელიძე. გედევანოვი, ზარდალიშვილი, მატარაძე, ჟივიძე, სარაული, შალიკაშვილი.

**დასაწყისი დილის 12 საათზე.**

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

**ანონსი:** ხუთშაბათს, 29 ნოემბერს, ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება: I. „ბედოვლათი" და II. „დედის ერთა".

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** ქართ. დრ. საზ. ადმინისტრაცია. 1578

**კ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი**

ორშაბათს, 26 ნოემბერს 1912 წ.

**ნ. ს. გოცირიძის ბენეფისი.**

ქართ. სახ. წარმ. მმართვ. წრის მიერ, მსახ. ქ. **ელ. ჩერქეზიშვილისა** და **ბ. ვ. გამყრელიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნებიან:

1. **„მსხვერპლი"** დრ. ი. გედევანიშვილისა მხოლოდ 1 მოქ.

2. **ტაირი სოლვეტნიკის „სიზმარი"** ბუფონადა 1 მოქ. პოტაპენკოსი თარ ქ. ხახანაშვილისა.

3. **„ხ ა ნ უ მ ა"** კომ. ა. ცაგარლისა მხოლოდ 2 და 4 მოქ.

მონაწილეობას მიიღებს „წრის" სც. მოყ. მთელი დასი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე რეჟისორი **ალ. წუწუნავა.**

ა ნ ო ნ ს ი: 29 ნოემბერს სახალხო კონცერტი **კ. ფოცხვერაშვილისა.** 1499.

**ა. ნ. მეზუროვის დრამატიული თეატრი**

ყოფილი არაქსიანისა, კონსტანტინოვისა და არხანგელის ქუჩის კუთხე.

**კვირას, 25 ნოემბერს,**

**რუსულ დრამის არტისტთა** ამხანაგობის მიერ წარმოდგ. იქნება პირველად ცნობილი პიესა **მაღაროს მუშების ცხოვრებიდან,** რომელთაც არ უნახავთ მზე და მთელ ცხოვრებას დედა-მიწის ქვეშ ატარებენ, იქ აუტანელი შრომით შოულობენ ლუკმა-პურს; სცხოვრობენ მაღაროების მძიმე და დახშულ ჰაერზე:

**კ ა ტ ა ს ტ რ ო ფ ა**

დრამა 4 მოქ. სამუროვისა.

1 მოქმედ. **მუშების კრება.** 2 მოქმედ. **მიწის მთხრელი ქალი ოქროს გულიაში.** 3 მოქმედ. **უეჭველ სიკვდილზე.** 4 მოქ. **მაღაროს აფეთქება.**

ამ პიესისათვის არის დახატული ახალი დეკორაციები, 1) მაღაროს შინაგანი მხარე, 2) მაღაროს მოსახლეთა სურათი. დამზადებულია სპეციალური კოსტიუმები. უკანასკნელ მოქმედების დროს სრული ილიუზია, შესაზარავი სურათია **მაღაროს აფეთქება.** კედლები მხატვრულად გადმოიქცევა. ✦ მონაწილეობს მთელი დასი. ✦ ანტრაქტების დროს დაუკრავს ორკესტრი **სამხედრო მუსიკა დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილების ფასი 10—60 კაპ. 824

**ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში**

**ისყიდება შემდეგი წიგნები.**

| | |
|---|---|
| ი. გოგებაშვილისა ბურჯი ეროვნებისა . . . . 20 კ. | კრილოვის არაკები . . . 50 „ |
| „ რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური წერილები 1 მ. | კლდიაშვილის მოთხრობანი 30 „ |
| „ საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა . 10 კ. | ნაწყვეტები პოლ. ეკონომიიდან 50 „ |
| „ ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად . . 5 კ. | რუს.-ქართ. ლექსიკონი ჩუბ. 2 მ. 40 „ |
| „ Методическое руководство для учителей и учительниц 40 კ. | რობინზონ კრუზო . . . 30 „ |
| გაბაშვილი ეკ. თხზულებანი 1 მ. 20 კ. | **ახლად მიღებული წიგნები:** |
| გულივერის მოგზაურობა . 30 „ | Къ Матеріаламъ по исторіи и древн. Грузіи и Гос. Джанашв. — 25 |
| ერისთავი რ. თხზულებანი ტ. II 40 „ | Крестьянск вопросъ въ Закавказьѣ Аваліани . . 2 — 50 |
| თხზ. ვაჟა-ფშაველასი. . . 1 მ. — | О др вне-грузинскихъ лѣтописцахъ XI стол. Карабазе. 35 „ |
| ვეფხის ტყაოსანი . . . . 60 „ | Кавказскіе депутаты въ 3 ейи Гос. Думѣ . . . . . 50 „ |
| | შავი ქვა. წუწუნავასი. . . 10 „ |

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მტკვრის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მ ოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დაგითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი (ყოველ-დღე 11½—12½.)<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და საშობიარო სნეულებანი. | ექიმი-ქალი **გერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ხუდაკოვი ა ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დაგითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურის, ყელის და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" „914" და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილისა ცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

**ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის წევრთა**

**წლიური საზოგადო მე-2 კრება** დანიშნულია **25 ნოემბერს,**

**ზუბალაშვილის** სახალხო სახლში, **დილის 11 ს.** განსახილველია: 1) წლიური ანგარიში ამხანაგობის მოქმედებისა, 2) არჩევა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა. კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. 1595

**წელიწადი მეთხუთმეტე.**

**დამყნილ ამერიკულ ვაზის და ხეხილის სანერგე**

**ს ა ნ დ ო,**

**გიორგი მ. ჩივაძისა**

ამით აცხადებს, რომ კვალინდებურად **დამზადებულია** მიმდინარე 1912 და მომავალ 1913 წ. **დიდძალი სარგავი მასალა.** 1586

**შეიძლება დაკვეთა:**

**ილია ჭავჭავაძის თხზულებანი**

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან**

**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** ✦ **თელავში—თამარ აბაშიძესთან.**

**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.** ✦ **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**

**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** ✦ **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**

**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.** ✦ **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**

**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.** ✦ **ერევანში—ელენე ვირსალაძესთან**

**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—ხოფით კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** 1153

**გამოსულია და იყიდება**

**ი. გედევანიშვილის** პიესა

**„გ ა მ ც ე მ ი"**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**საგურთალოზე**

**მშვენიერ ადგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № ჩ, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. **№ 8.** ტელეფონი **№ 695.**

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშ ბ თობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

**ნ. მ. მელიქიშვილი** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.** ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიურიქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606"-ი** 1018

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ № 20. წ. 1022

**ექიმი ს. ი. ბძელიშვილი** იღებს ავადმყოფებს შინაგნეულ და ვენერიულ ავადმყოფებს, დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. დიდუბე, საგურამოს ქუჩ. № 21, სახლი ხრამელაშვილისა. 1411

**ექიმი ი. ე. ჯაში** განაგრძობს ავადმყოფ. მიღებას დედათა და სადოსტაქრო ავადმყოფ. ექიმობა ბავშვების ძვალთა ჰლექისა ფიზიკურ-მექანიკურ საშუალებ-თ. დილის 11—1 ს. საღ. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6. ტელეფონი 107. 791

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

**ექიმი ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. ქარაშვილისა.

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე. 1049

**ექიმი ი. კ. აბაკელია** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. **ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

**ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.** იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიკარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველომ ტფ. სადგურის გასაფართოვებლად საქალაქო მიწა მიიზომა. სამმართველომ ამ ჟამად შუამდგომლობა აღძრა რკინის გზათა მთავარ საბჭოს წინაშე, რათა ქალაქს ამ მიწაში 81,500 მან. მიეცეს.

✦ **საფსიხიატრო საავადმყოფო.** ფოთის ქალაქის გმგეობამ ტფილისისას აცნობა, არ შეგვიძლიან ორი საწოლი ვიქონიოთ ჩვენის ხარჯით მომავლის საფსიხიატრო საავადმყოფოში, რადგან ნივთიერად ხელმოკლენი ვართ.

✦ **ტფ. საბირჟო კომიტეტმა** ამ დღეებში დაადგინა, მონაწილეობა მიიღოს რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის იუბილეში. დაწვრილებით პროგრამა შემუშავებულია.

✦ **ქალაქის ლომბარდის** გამგის ადგილზე ამავ ლომბარდის მთავარ ბუჰგალტრის კ. რ. მელიქ-სარქისოვის კანდიტატურას ასახელებენ, ნაცვლად გარდაცვლილ ასლამაზოვისა.

✦ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისია** თავის თავმჯდომარესა და მის ამხანაგს 26 ნოემბრისთვის დანიშნულ კრებაზე ამოირჩევს.

✦ დარიის მონასტერთან არსებულ **მედავითნეთა კურსების** სასარგებლოდ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ 250 მან. გადასდო.

✦ **პანაშვიდები.** გუშინ ტფ. ყველა ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდები განსვენებულ მიტროპოლიტ ანტონის სულის მოსახსენებლად.

✦ **შეიპყრეს** ოზურგეთის მაზრის სოფელ ფიჩხისჯვარის მცხოვრები კიმოთე გლახას-ძე მგელაძე, რომელიც ადმინისტრატიულის წესით დონის როსტოვში იყო გადასახლებული და ტფილისში ნება დაურთველად ჩამოვიდა.

✦ ტფილისის ქართველ მეპურეების ამქარმა მამასახლისად აირჩია **იობ სოფრონის-ძე ისაკაძე.**

✦ **რეფერატი.** დღეს საზოგადო კლუბში ე. მურადიანი რეფერატს წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „ძველი კულტურა და მორწყვის საქმე კავკასიაში". რეფერატს საკონცერტო განყოფილება მოჰყვება.

✦ გაზ. „იმერეთის" რედაქციას შემდეგი დეპეშა მიუღია დორპატიდან: **„დავით ულენტმა „სალამოზე"** უცაბედად დასჭრა სტუდენტი იმნაძე და შემდეგ საცოდავმა თითონაც თავი მოიკლა".

✦ 25 გიორგობისთვიდან, ქუთაისში გამოვა ყოველ-კვირეული სამეურნეო და საზოგადო ჟურნალი **„სასოფლო გაზეთი".**

✦ რედაქციამ მიიღო მოსკოვის ქართველ სტუდენტთაგან **სამძიმრის დეპეშა არისტო ქუთათელაძის** გარდაცვალებისა გამო. ხელს აწერენ განსვენებულის ნაშეგირდალნი: ინასარიძე, ჩოლოყაშვილი, ძმანი ტატიშვილნი, ვაჩნაძე და ზანდუკელი.

✦ რედაქციამ მიიღო ქ-ნ ნ. რ. ბაქრაძისაგან 25 მანათი, ქართულ გიმნაზიასთან არსებულ **უფასო სასადილოს სასარგებლოდ.** ქ-ნმა ბაქრაძემ ეს შეწირულება გაიღო განსვენებულ მეუღლის ხსოვნის აღსანიშნავად.

✦ კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ 80 მან. გადასდო **აფხაზურ ლოცვანის** გამოსაცემად

✦ **ქველ-მოქმედთა ყურადღებას მივაქცევთ** შემდეგ პირთა გაჭირვებულს მდგომარეობაზე: 1) ქვრივ სოფიო დაჲარუნოვისასა, რომელსაც 6 შვილი ჰყავს. უფროსი 12 წლისაა; ადრესი: 1 როზოვი ქ., 12, და 2) ქვრივ ნატალია პეტრეს ასულ ჩხეიძისასა, რომელსაც 3 შვილი ჰყავს ადრესი: უდელნაია ქ., 25.

✦ დეპეშათა სააგენტო გვატყობინებს: სახალხო განათლების მინისტრმა სამეცნიერო კომიტეტს მიანდო გიმნაზიის მასწავლებელთა გამოცდის ახალი წესების შემუშავება. ამ ბოლო დროს ძლიერ გახშირდნენ განუვითარებელი მასწავლებლები.

✦ ქ-ნ მისტროვას კულინარული კურსები წელს 12 მოსწავლემ დაასრულა, 21 ნოემბერს გამართული იყო გამოსაცდელი სადილი, რომლითაც დამსწრენი კმაყოფილი დარჩნენ.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ ხარკოვის ქალაქის გამგეობისგან მიიღო მოხსენება ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა ნივთიერად უზრუნველ ყოფის შესახებ. მოხსენება საჭიროა ტფ. ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა საპენსიო წესდების შესადგენად.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ ტფილისში არსდება ერთი **ახალი საზოგადოება,** რომელსაც სახელად ერქმევა: „უფასო საბავშო სასადილო და სამეურნეო-საზოგადოება". საზოგადოების წესდება დასამტკიცებლად გუბერნატორს ამ დღეებში წარედგინება.

## სასწავლებლებში

✦ **ახალი სამასწავლებლო ინსტიტუტები.** სახალხო განათლების სამინისტრო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს შეეკითხა, საჭიროა თუ არა კავკასიაში ახალ სამასწავლებლო ინსტიტუტების დაარსება და თუ საჭიროა, რომელ ადგილებშიო. მზრუნველმა პასუხი მისცა, რომლითაც საჭიროდ სთვლის ინსტიტუტების დაარსებას შემდეგს ქალაქებში: ბაქოსა, ბათომსა, ეისკსა, ეკატერინოდარსა, პიატიგორსკსა და ქუთაისში. მზრუნველი ხსენებულ ქალაქების თვითმმართველობათ შეეკითხა, რა დახმარებას აღმოუჩენთ განზრახულ ინსტიტუტებსაო.

## ქუთაისი

✦ ახლად გარდაცვალებულ შავი ქვის მრეწველს **გ. ნ. ჯიმშელეიშვილს** თავისი ქონება სხვა და სხვა საზოგადო საქმეებისთვის უანდერძებია.

✦ წელს ბამბის მოსავალი ცუდი ყოფილა შედარებით სხვა ბამბასთან „კინგის" ჯიშის ბამბა უკეთესი იყო.

✦ 17 დეკემბერს ოლქის სასამართლო გაარჩევს **მიხა სულუხიას საქმეს.** მას სხვებთან ერთად ბრალდება თავდასხმა მიურატის პრინცესის ოჯახზე.

✦ 10 დეკემბერს სამხედრო სასამართლო გაარჩევს: გოგია ჟორდანიასა, შალვა ორაგველიძისა და ჯიმშერ ფირცხალაიშვილის საქმეს. ამათ ბრალდებათ ბათომის გუბერნატორისა და სხვების გაცარცვა. ამ საქმეში ამავე სასამართლომ ჟორდანია გაამართლა და ორაგველიძესა და ფირცხალაიშვილს მიუსაჯა სამ სამი წლით ტუსაღთა გამასწორებელი რაზმი. ბრალმდებელმა პროტესტი გადაიტანა, რისთვისაც მათ ხელმეორედ ასამართლებენ. დაიცავენ ვექილნი სოსე და ნიკოლოზ ქიქოძეები.

✦ 11—12 დეკემბერს, სამხედრო სასამართლო გაარჩევს ნოე ჟღენტის, მეთოდე მახარაძისა და სერაპიონ ბურჯანაძის საქმეს. მათ ბრალდებათ ყაჩაღობა, რაშიც გამოტეხილან.

✦ 27 ამ თვეს, პალატა გაარჩევს ერასტი ასათიანის საქმეს, მას გადაწყვეტილი აქვს რვა წლის კატორღა. იცავს ვექილი გელაზარი.

✦ ორპირის ქუჩის ბოლოს მცხოვრებს, გაბრიელ ტორაძის ოჯახობას, მუქარის წერილი მიუღია: დაანებე თავი ენა ტანიობას ან და კუბო მოიმზადეო.

✦ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თაოსნობით კვირას, 25 ნოემბერს, გაიმართება ილიას დილა, ქალაქის თეატრში. დასაწყისი 12 საათზე. წაიკითხვენ ორ ლექციას: ბიოგრაფია მგოსნისა—ს. ქვარიანი და პოეტის მნიშვნელობა ალ. გარსევანიშვილი ლექციების წინ მწერალი—ბელეტრისტი დ. კლდიაშვილი წაიკითხავს პატარა მიმართვას მგოსნისადმი. დასასრულ გუნდი იტყვის ორიოდე სიმღერას და ბბ. ვ. რუხაძე და თომაშვილი, ანდ. შუბლაძე, ნ. გვარაძე, ქ-ნი ხელთუფლიშვილისა და სხვები წაიკითხავენ ილიას სხვადასხვა ლექსებს. („იმერეთი")

## სოფლად

✦ **კიდევ ყაჩაღები.** 21 ნოემბერს შებინდებისას, სოფელს კასპს უცებ ეწვივნენ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ყაჩაღები და სროლა ასტეხეს. შეშინებული მცხოვრებნი სახლებში მიიმალნენ. შემთხვევით ყაჩაღებს წინ შეეჩეხა უიარაღო ჩაფარი მინა ბარბაქაძე, რომელიც ყაჩაღებმა იქვე მოჰკლეს. მკვლელობის შემდეგ ყაჩაღები მუხრანისკენ გაემართნენ. ღამის ათს საათზე მატარებლით კასპში ჩამოვიდნენ გორის მაზრის უფროსი და მისი თანაშემწე და ჩაფრებით ყაჩაღებს დაედევნენ, მაგრამ კვალს ვერ მიაგნეს. ხალხი ძალზე შეშინებულია. ჰფიქრობენ, რომ ყაჩაღები დუშეთის მაზრიდან არიან, სადაც ბევრი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს და ბოქაული ქუსიშვილი მოჰკლეს.

### შეცდომის გასწორება.

გუშინდელ გაზეთში დაბეჭდილ მეორე მეთაურში **დაბეჭდილია:** თავმჯდომარის კანდიტატურის განხილვის დროს ხომ მათი აზროვნება ლევაშოვსა და **ხვოსტაკოვზე** შორს ვერ მიდიოდა'. **უნდა იყოს: ხვოსტოვზე.** და სხვ.

# დეპუტატ ვარლამ გელოვანის განმარტება

ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, რომ გაზეთ „დენ"-ში დაიბეჭდა ინტერვიუ დეპუტატად ნამყოფ გეგეჭკორთან, რომელიც ამბობდა, ქუთაისის გუბერნიაში სოციალისტ ფედერალისტების კანდიდატი ადმინისტრაციის დახმარებით გავიდაო. ამის გამო დეპუტატს ვარლამ გელოვანს შემდეგი განმარტება დაუბეჭდია: „მე ბ-ნი გეგეჭკორი იმდენად დაინტერესებულ პირად მიმაჩნია, რომ შეუძლებელია მან ობიექტიურად (მიუდგომლად) გადმოგვცეს ქუთაისის გუბერნიაში მომხდარ არჩევნების ფაქტები. რადგანაც არ მინდა მეც ასეთსავე შეცდომაში ჩავვარდე, არსებითად პასუხს არ გავცემ, ყველა ფაქტების განხილვას მივანდობ მიუდგომელ პირთ, რომელნიც მერე თავის მსჯავრს გაზეთებში გამოაქვეყნებენ. მე თითონ აურებელი ფაქტები მაქვს ადმინისტრაციის ბოროტ-მოქმედებებისა არჩევნების დროს—ყველა ამ ბოროტ-მოქმედებათა თავზე მოხვევა ს.-ფედერალისტებზე—სულ ცოტა რომ ვსთქვათ—კეთილ-სინდისიერება არ იქნება. ჯერ-ჯერობით კი კატეგორიულად და გადაჭრით ვაცხადებ, რომ საჩივარი არჩევნების უკანონობის შესახებ შეიტანეს ისეთმა პირებმა, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ სოციალისტ-ფედერალისტებთან. განა ასეთივე საჩივარი არ იყო სენატში შეტანილი ჩვენი მომხრის, ჩიჩუას, არჩევის გამო? ჩიჩუას არჩევანი გააუქმეს, მაგრამ მე ჯერ-ჯერობით არ მინდა საჩივრის შეტანა სოციალ-დემოკრატებს დავაბრალო".

# გაფრინდა!.

ჭეშმარიტად უცხო სანახაობა იყო... შემოდგომის გამოსათხოვარ სიმწვანით აფერადებულ მინდორზე, ზღაპრულ ვეებერთელა ფრინველივით გაქვავებულიყო ფრთა-სპეტაკი მონოპლანი ახალგაზდა ქართველ მფრინავისა და მორჩილებით უცდიდა თვისი შემქმნელის თილისმა-სიტყვას, რათა ლაღად გაენავარდნა ცის დაუსრულებელ წიაღში.

რუხი, ღრუბლიანი ცის გუმბათი თითქოს უნდოდ დაჰყურებდა მის განზრახვას. აღმოსავლეთიდან ცივი, ძვალსა და რბილში გამწვევი, ქარი მოსისინებდა.

მანქანის გარშემო მოგროვდნენ ტფილისის ქართულ-რუსულ პრესის წარმომადგენლები და მფრინავის ნათესავ-მეგობრები. ყველა რაღაც ფრთხილის მოწიწებით ათვალიერებდა ქართული ნიჭის ნაწარმოებს, რომელსაც ღირსეულ სიმაღლეზე უნდა აეტაცა მისი დიდება და სახელი. ქერა, სანდომიანი სახის ყმაწვილი ბესარიონ ქებურია—მოკლედ იძლეოდა საჭირო განმარტებას თვისი მანქანის შესახებ. ჰაეროპლანი მონოპლანის ტიპისაა, მაგრამ იმდენად უბრალო და ლამაზი კონსტრუქციისა, როგორიც ჯერ არ იცის ტეხნიკამ. გაშლილი ფრთები (შუბლიანად, სადაც მოტორი სდგას) სიგრძით 8888 მილიმეტრს (13 არშინამდე) უდრის, ხოლო მანქანის სიგრძე (შუბლიდან კუდამდე) 7777 მილიმეტრს (11 არშინამდე). მთელი მანქანა იმ ანგარიშითაა გაკეთებული, რომ რაც შეიძლება მეტ სიმჩატესა და სიჩქარეს მიაღწიოს. ფრთების ჩონჩხი მეტად წვრილი და სუფთაა, სამი საგორავი ბორბლის მაგიერ ორი აქვს წინ, ხოლო კუდის დასაყრდნობად თვლის მაგიერ ცალფეხა მარხილი აქვს. მანქანის შვენებას მისი პატარა და მოღუნული კუდი შეადგენს, რაც ნამდვილი დიდი ფრინველის ილუზიასა ჰქმნის ჰაერში. პროპელერი სიგრძით ბლერიოსეულსა ჰგავს, მაგრამ თათები უფრო ფართო და ღრმაა, რაც ხელს უწყობს მეტი სიჩქარის განვითარებას. მოტორი „გნომის" სისტემისაა, 50 ცხენის ძალისა. პროპელერი წინ უზის მოტორს, რომელიც თითქმის თავისუფალია საფარი ჯავშნისაგან. ეს გარემოება იმითაა საუპირატესო, რომ მოტორი მეტ ჰაერს იხვევს და ადვილად ცივდება, ასე რომ მოტორის გავარვარების საფრთხე დიდად შემცირებულია. მოტორი, მანქანის ცენტრი და ჩასაჯდომი ადგილი თითქმის ზედ შუბლზეა თავმოყრილი, რაც ჰაეროპლანის წონა—სწორობას აძლიერებს. მთელი მანქანა მფრინავიანად 14 ფუთს იწონის; იგი (მოტორს გარდა) ტფილისში ქებურიას საკუთარს სახელოსნოში გაკეთებული.

სანამ ბ. ქებურია ამ განმარტებას იძლეოდა, მისი თანაშემწე, ახალგაზდა [illegible] მანქანის გარშემო დაფუსფუსებდა, ამზადებდა ფრთებს, ბენზინს, სჭიმავდა მავთულებს, ერთი სიტყვით, წრფელ თანაზიარობას უწევდა თავის საყვარელ უფროსს.

აი, გამართეს ეს უშველებელი, უსულო ფრინველი. გული უცნაურმა, ტკბილ-მწვავე გრძნობამ აატოკა. გაიტანეს მინდვრის შუა გულს. ქარი ძლიერდება.., ურჩევენ გამბედავ მფრინავს, თავი დაანებოს ასეთ ცუდ ამინდში გაფრენას. ქარის ძლიერება 12 მეტრს უდრის ერთ წამში, მაგრამ არა! თითქმის ორი წელიწადია, რაც ამ საზღაპრო ფრინველის გამოჩეკას უცდ[illegible] იგი გულდასმით, დაჟინებით მ[illegible] რომ სასურველად დაგვ[illegible] ვინებია თვისი „გიჟური" განზრახვა [illegible] ახლა, როცა ყველაფერი მზადაა, ერთბაშად უარი სთქვას? არა! ეს [illegible] შეეფერება ჰაერის დამპყრობს!

— კოლა!—მიუბრუნდა იგი თანაშემწეს—მივფრინავ!

თანაშემწემ პროპელერი აამუშავა, გამბედავი მფრინავი დაჯდა თავის ადგილს. გაისმა „გნომის" გუგუნი, დაიხვა ბენზინის პირველი კომლი და აძიგძიგდა უსულო ფრინველი.

— მოტორი ცელქობს!

გაისმა მაყურებელთა შეშინებული ჩურჩული, მაგრამ მალე გასწორდა ხმა შეწყვეტილი გუგუნიც. დაიძრა დიდი, თეთრი ფრინველი და წაგორდა მწვანეზე, წუთიც... და აფრინდა!

თავისუფალი ოხვრა უნებურად აღმოხდა აძგერებულ მკერდს. მანქანა ნაძალადევისკენ გაემართა... ერთ წამს, ქარის მძლავრი ტალღა მოწყვეტით ეკვეთა მას, მარჯვენა ფრთა გადახარა, აჰა, დაიმსხვრეს თუ არა იმედის ნაპერწკალი, მაგრამ [illegible] მფრინავს გამჭრიახი თვალი აქვს, [illegible] ელვის უსწრაფეს შეუთანხმოა [illegible] ფრთა და თოვლივით ფითრმა ფარფატმა ლაღად გაჭრა სივრცეში, გადაუარა ნაძალადევს თავს და დასავლეთისკენ იბრუნა ჭიარი, შემოუარა ავჭალას, შემოჰყვა მტკვარს, გაინავარდა საბურთალოსკენ, გადმოუქროლა ქართულ გიმნაზიას და ისევ ნაძალადევისკენ გაეშურა... ფრთაგაშლილი, შეურხევლად. ჭეშმარიტად დიდებული სურათია, ზეამტაცი, მატყვევებელი! ძირს დარჩენილთა სული მისკენ მიილტვის, მძრალდება მძიმე ტანი! მაგრამ, ეს რაა? მანქანა უცნაურად შეირხა, ნუ თუ?.. ოჰ, არა! ეს გამოცდილი მფრინავის ქმნდია—მარჯვნით გამოქანებულმა უეცრად მარცხნით მოჰხარა და კუდის მძლე დაკვრით უსაზღვრო სივრცეს შეერთო. გადმოუქროლა ისევ დახნულ ჰალას და ავჭალისკენ გასრიალდა, წავიდა,

# ილია ჭავჭავაძე,
## როგორც პოეტი ხელოვანი.

„სამშობლო ცასა ბნელად გაშლილი
გლოვის ზეწარი გადაეფარა..."
ი. ჭ.

გულშემზარავია ის დრო ჩვენი ერის არსებობისა, როდესაც ილია პირველად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე; უიმედობისა და მწარე კაეშნის აღმძვრელია იმ დროის ქართველ ერის მდგომარეობა: ეროვნული ცხოვრების მაჯის-ცემა ძალზე მისუსტებულიყო და თითქმის სამუდამოდ დადუმებას ლამობდა. ეროვნულ თვითცნობიერობის ხომ ჩანასახიც არსად სჩანდა; „ირგვლივ ცის კიდით კიდემდისინა იდგა სიჩუმე, ვით მკვდართა ძილი" და ამ სიჩუმეში გაჩქარებულად სწარმოებდა პროცესი ქართველი ერის გადაგვარებისა, მოსპობისა; ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრები უკვე სრულს გამარჯვებას დღესასწაულობდნენ... მაგრამ მესამოცე წლებში განგებამ საქართველოს მოუვლინა დიდებული ილია და მისი ამხანაგები, რომელნიც სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით აღგზნებულნი მკვეთრად ეკვეთნენ გარემოცულ სიბნელეს და გადალახეს რა ყოველგვარი დაბრკოლება, ერს, დავრდომილს, განახლების ძლიერი წყურვილა აღუძრეს.

მათ შორის პირველობა ილიას ეკუთვნის: იგი 40 წლის განმავლობაში მედგრად ეწეოდა საეროვნო საქმეს და ერთგულ დარაჯად ედგა თვის მშობელ ერს, სანამ ძალმომრეობით არ შესწყვიტეს მისი კეთილშობილურ გულის ცემა...

განა მოსწყინდება კაცს დიდებულ ილიას, ამ ჩვენი ერის მოწამის, შესახებ წერა? და მეც ვკადნიერდები ორი სიტყვით შევეხო ილიას, როგორც პოეტს ხელოვანს. ეს მით უფრო საჭიროდ მიმაჩნია, რომ ჩვენში ზოგიერთი კრიტიკოსი სუსტად სთვლის ილიას მხატვრულ შემოქმედებას და მას მხატვრულ ალღოს უქონლობას უკიჟინებს. დასახულ მიზნისთვის ვეცდები განვიხილო ილიას რამოდენიმე პოეტური ნაწარმოები და მოტანილი აზრის სრული სიკოტრე ნათელ ვყო.

პოეტის ნაწარმოებთა შესაგნებლად აუცილებლად საჭიროა, ვიცნობდეთ მის აზრს პოეტის დანიშნულებასა და მოვალეობის შესახებ, პუშკინის პოეტი წინასწარმეტყველია; სულის საზრდოს დამწყურებულს უდაბნოში მოევლინება ექვს ფრთოსანი სერაფიმი და სასწაულებრივ გარდაჰქმნის მას: იგი შეიქმნება ყოველის ჩამწვდომი, ყოველის გამგონე და ცეცხლივით მგზნებარე გულის მატარებელი; მისი მოწოდებაა, ალიჭურვოს ღვთის ნებით და თვის მწუხარე ხმით გულს უსერავდეს ადამიანთ. ლერმანტოვის პოეტიც წინასწარ მეტყველია, რომელიც სიმართლისათვის დევნილ იქმნა და უდაბნოდ ილტვოდა.

ილიას პოეტი მოძმეა თვისი ხალხის ჭირსა და ლხინში; თვისი ერის ბედიღბალი სისხლის ასოებითაა აღბეჭდილი მის გულზე; იგი სცხოვრობს თვისი ხალხის იმედებით, იტანჯება მისი სატკივარით: „გულში ცეცხლის აღგზნებაც" კი მისთვის ჰსურს, რომ „მოსწმინდოს ერსა ტანჯვის ცრემლი".

ასეთია ილიას პოეტი და ასეთივეა თვითონ ილიაც, რომლის ნაწერებსაც, თეთრი ზოლივით გასდევს განუწყვეტელი ფიქრი თვის საყვარელ სამშობლოზე. სამშობლო ჭირ-ვარამი ილიას თვის საკუთარ ვარამად მიუჩნევია და თვისი სულის ზეგარდმოცხებული ნიჭიც იმ უკუღმართ მდგომარეობის ნათელსაყოფად მიუმართნია, რომელიც ქართველ ერს მოსპობას უქადის.

ილია რეალისტი მწერალია: მის მიერ შექმნილი მხატვრული სურათები სინამდვილის სრულ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე; მის მიერ ნახმარი ფერადები სინამდვილიდანაა ამოკრეფილი. ჩვენში რეალიზმი ჩვენი პოეზიის სიამაყეთა—ილიასა და აკაკის-მიერ არის ვანმტკიცებული, მაგრამ ილია ისეთი უფერული რეალისტიკი არის*), რომელსაც გარემოცული ცხოვრების მხოლოდ ოქმის შედგენა უკისრნია; პირიქით ილიას პოეზია სავსეა ნამდვილი პოეტური აღმაფრენით და სრულის მხატვრულის გულთა-მხილაობით. ამასთანავე ილიას ნაწარმოებში მრავლად მოიპოვება რომანტიული ელემენტები და ლირიკული ადგილები, სადაც პოეტი პირად გრძნობასა და აზრს გვიზიარებს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, როგორც ამას ვხედავთ რუსეთის დიდებულ მწერლის გოგოლის ნაწერებში. ვშიშობ, ეს სიტყვები ისე არ ჩამომართვან, თითქოს ილიას გოგოლის მიმბაძველად ვსთვლიდე; არასოდეს; მე აქ მხოლოდ მსგავსებას აღვნიშნავ და არა მიმბაძველობას.

ილიას პოეტურ ნაწარმოებთა გარჩევის დროს, უწინარეს ყოვლისა შევჩერდებით მის ისტორიულ პოემაზე „დიმიტრი თავდადებული";

მაგრამ ვიდრე მის განხილვას შევუდგებოდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია, შევეხოთ იმ საყვედურს, რომელსაც ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსი ილიას მიმართ გამოსთქვამს, ვითომც ილიას დიმიტრი მეფე გმირი კი არა ლაჩარი იყოს, ჩვენ არ შევეხებით იმას, თუ დიმიტრი მეფე, ილიას მიერ შექმნილი, რამდენად არის ისტორიული პირი და მას იმ სახით განვიხილავთ, როგორითაც იგი პოეტს შეუქმნია.

ნუთუ მართლაც გმირი არ არის დიმიტრი თავდადებული? ნუთუ იგი პირიქით მხდალი, ლაჩარია? პირადად ჩვენ იმაზე მეტი გმირობა ვერ წარმოგვიდგენია, როდესაც ადამიანი ასწონ-დასწონავს თვისა და მოპირდაპირის ძალის რაოდენობის განწყობილებას და მთელი ქვეყნის აოხრებას მხოლოდ თავის თავისათვის გოლგოთას ამჯობინებს. ნუთუ უმჯობესი იქნებოდა, დიმიტრი ქართველ ჯარს ამოჰფარებოდა ზურგს უკან და ისე შებრძოლებოდა მტერს? ან თუ გინდა წინ წასძღოლოდა! ხომ ცხადი იყო, რომ იგი ერთ მუჭა ჯარით ყეინის ურიცხვ მხედრობასთან ვერას გააწყობდა და თვის სიკვდილთან ერთად მრავალ ახალგაზდას, გამოასალმებდა წუთი სოფელს, რომელნიც, ვინ იცის, რა სარგებლობას მოუტანდნენ მშობელ ერს. დიმიტრი სწყვეტს არა მარტო თვის ბედს, არამედ ბედს მთელი ერისას: მან კარგად იცის, რომ მას, ადვილად შესაძლებელია, ღირსეული მემკვიდრე დარჩეს, რომელიც არა მასზე ნაკლებად იზრუნებს ერისთვის ხოლო, ვინ იცის, როდის გამომრთელდება ყეენის ჯარისაგან აოხრებული ქვეყანა!

არა, ბატონებო, იმაზე მეტი გმირობა წარმოუდგენელია, როდესაც ქვეყნის დასაფარავად წუთი სოფელს ესალმები და არარად იქცევი.

რისთვის გვიზიდავს ბ. გედევანიშვილის „მსხვერპლში" სოფლის ბიჭი ვანუა, თუ არა იმ გასაოცარი თავგანწირვით, რომელსაც იგი ნებაყოფლობით თავს იდებს და რამდენად უფრო მიმზიდველია დიმიტრი მეფე თვის თავგანწირვაში, რადგან მეფებისაგან თვისი ერისათვის თავგანწირვა იმ სახით, როგორც ეს დიმიტრიმ ჩაიდინა კაცობრიობის ისტორიაში იშვიათი მოვლენაა. სულ სხვაა ომში სიკვდილი და სხვაა წინ და წინ სასიკვდილოდ თავის განმზადება, რადგან უკვე რამოდენიმე ხნის წინად განიცდი სიკვდილის მსახვრელ ხელის შენს სულში ფათურს და აბა ამ გრძნობაზე უფრო მძიმე რაღა უნდა იყოს!

ილიას ზედ-მიწევნით სცოდნია ფსიხოლოგია; მას ძლიერ კარგად შეუსწავლია ის მოვლენა, თუ როგორ უჯდება ადამიანს ძვალსა და რბილში ერთხელვე დაწესებული მონური განწყობილება, როგორ ეჩვევა იგი თანდათან ამ განწყობილებას და ბოლოს მას კანონიერად, ღვთისაგან დაწესებულად აღიარებს. ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ბატონსა და ყმის შორის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთგვარი გულთბილი დამოკიდებულება მყარდება. მონა ბატონს თვის მფარველ და მზრუნველ არსებად აღიარებს, ხოლო ბატონი ღვთისაგან მოწოდებულად სთვლის თავს, ზრუნვიდეს და ჰფარვიდეს თვის ყმებს.

ასეთი დამოკიდებულება საუცხოვოდ აქვს დასურათებული ილიას პოემაში: ღრმად მოხუციც კი, რომელსაც დაუძლურების გამო, სიარულიც კი აღარ ძალუძს, მზადაა თვისი ორი შვილი თან გაატანოს მეფეს, რომ ემსახურონ მას და მისთვის თავიც გასწირონ:

მაგრამ ჩვენ რა გვეშველება,
ჩვენ, მეფეო, **შენს დამკარგველთ?**
მამობასა ვილა უზამს
**შენგან დაობლებულ ქართველთ?**
ერს ოფლის მღვრელს და ტვირთ
მძიმეს
ქირსა ლხინად ვილა გვიქცევს?
წუთი სოფლის მძიმე უღელს
**შენებრ, მეფევ, ვინ გაგვიწევსო.***)

მოსთქვამს იგი მოხუცი. ასეთი დამოკიდებულება განსაკუთრებით იმ დროს მჟღავნდება, როდესაც მეფე ხალხთან ერთად თვის ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იბრძვის და მას, როგორც უმაღლეს სარდალს, მხსნელად შესცქერის თვისი ერი.

ილიას ძვირფასად აქვს შესრულებული ის სურათი, როდესაც დიდებულთ წინაშე წამდგარი მეფე თვის სურვილს აღვიარებს. ერის წარჩინებულნი ცხარედ სწუხან და ვერ შეჰრიგებიან იმ აზრს, რომ უბრძოლველად გადასცენ მტერს მეფე მოსაკვდინებლად; ეს ხომ სირცხვილია, თავის მოჭრაა, მათის აზრით, მთელი ერისა ღრმად საგულისხმიეროა, აგრეთვე მღვდელ-მთავრის სიტყვები, რომელთაგან ზოგიერთს მოვიყვანთ:

მეფევ, უნდა თავი დასდო
**ერისა და ქვეყნისათვის,**
ღმერთს შესცოდავს, ვინც გა-
მკიცხავს
მე ამ მწარე რჩევისათვის.
მეფევ, რა კი ბედმან გარგო
შენ ეგ მძიმე საზღაური,
სხვას უკეთეს ვერას გირჩევს.
სიყვარული **ბატონ-ყმური".**

მეფე ვალდებულია, როგორც ერის მამამ, თავი გასწიროს ქვეყნისათვისო, ამბობს მღვდელ-მთავარი და მასვე იმეორებს დიმიტრი მეფე:

*) რასაკვირველია, აქ აკაკი მხედველობაში არა მყავს.

*) ხაზი ყველგან ჩვენია.

დაიკარგა... წერტილის ოდენ ლასჩანს, მალე ისიც დაიმალა.. რა მოხდა?

— შორს წავიდა!

— ეს სიგიჟეა!

— ქარი ძლიერდება!

ისმის უხმო ჩურჩული. ხუთი აუტანელი წუთი, მძიმე და დაურღვეველი სიჩუმე. მაყურებლები ერთმანეთს შესცქერიან. ნუთუ აღარ გამოჩნდება! შორს ღრუბლიან სივრცეში კვლავ გამოჩნდა ისრის წვერი; გადიდდა, გაიზარდა;

— გვრიტია, გვრიტი!..

თან დღ თან ახლოვდება „გნომის" თანაბარი გუგუნი და შხუილი კაკლის ხის პროპელერისა. გაგვისწორდა, 600 მეტრის სიმაღლეზე გადმოგვიარა თავს..

— მამა!..

პაწაწა ხელების ქნევით უხმობს ჰაეროვან მამას მისი ოქროს—თმიანი, 4 წლის ვაჟი. მაგრამ მამას არ ესმის. იგი მთვრალია საკუთარი ნიჭითა და გამარჯვებით მას აღარ ახსოვს მიწა და მასზე მლოდავნი. იგი გმირია, გმირი—ჰაერის დამძლევი და მბრძანებელი, რაღად უნდა მიწა!.. კვალად და კვალად ლაღი ნავარდი, ცივ ქართან ერთად, რომელიც, ღონემოტეხილი, ვეღარ ჰბედავს წინააღმდეგობას. აჰა, გვრიტმა კიდევ უფრო მაღლა აიწია. ყურანთა და მფრთხალი გუნდი გაკვირვებული ჩხავილით შემოეხვია გარს. რა სასაცილოა მათი უშნო ფრთების პაწ-ტური!..

— ადამიანო, ადამიანო! კმარა, გეყოფა, გამარჯვების ნექტარი თავბრუს დაგახვევს და...

მაგრამ იგი ისევ განაგრძობს ნავარდს, ახლა უფრო ფრთა-გამართვით, უფრო გაბედულად.

— ვანიშნოთ, რომ ჩამოფრინდეს! ამბობს ფერ მიხდილი ცოლი.

— უკვე ნახევარი საათი გავიდა!

— აი, ის თეთრი ბაირაღი ამართეთ!..

დაინახა. ძირ-ძირ დაჰნარა. ჩამოფრენას აპირებს, გვრიტმა დაჰხარა ფრთიები და ტყვიასავით შხუილით წამოვიდა. ნუ თუ ასე მოწყვეტით აღეშვება? მეტი გზა არ არის, რადგან ადგილი ძლიერ პატარაა. წუთიც და უსულო ფრინველი მიწაზე გაგორდა. გულადი ავიატორი კოხტად გადმოხტა და ხელი შეატანა თავის პირმშო მანქანას. საერთო აღტაცება და... განუზომელი დიდი გრძნობა... სული კმაყოფილია. დაგვირგვინდა ქართული ნიჭი! **კოლხი.**

## † სტუდენტი დავით ქლენტი

**დორპატიდან** შემაძრწუნებელი ამბავი მოვიდა: დავით ქლენტს უცაბედად დაუჭრია სტუდენტი იმნაძე, რის შემდეგ თითონაც თავი მოუკლავს. განსვენებულს ასე ახასიათებს ამხანაგი „იმერეთი"-ს ფურცლებზე:

„სიცოცხლით სავსე, მკვირცხლი ახალგაზდა იყო სტუდენტი დ. ქლენტი. საცოდავი ამ ზაფხულს სამშობლოში იყო და უნდა გენახათ, რა რიგის აღტაცებით, აღფრთოვანებით მოაწყო მან ახალგაზდების ექსკურსია ზახმაროზე. თვალთაგან სულ ცეცხლებს ჰყრიდა. ასე უდროოდ შეიწირა იგი შემთხვევამ, უცაბედმა მოვლენამ. განსვენებული განხორციელება იყო თვით სიცოცხლის და როცა პირველი მისი სიკვდილის ხმა მოვიდა, ვერ დავიჯერეთ, მაშინვე ეჭვი დაგვებადა,—ან ვინმემ მოუსწრაფა მას სიცოცხლე, ან და თვით უნდა გაეწირა თავი. გამართლდა კიდეც ჩვენი ნაფიქრი...

განსვენებული პირველად ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიაში სწავლობდა. აქედან იგი ვორონეჟის კადეტის კორპუსში შევიდა. ნიჭითა და ენერგიით სავსე ახალგაზდა კლასიდან კლასში გადასვლის დროს ყოველთვის ქების ფურცლებს იღებდა. მან მალე დასტოვა კორპუსი და ერთი წლის განმავლობაში კორპუსში შვიდი კლასის ეგზამენები ექსტერნად ჩააბარა. კადეტის კორპუსი ჩვენებს, ქართველობის ნიშან წყალს უსპობს და ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავს, რომ სამუდამოდ დავსტოვე იგი—მითხრა გახარებულმა დათიკომ, როდესაც იგი კიევის უნივერსიტეტში ჩაერიცხა თავისუფალ მსმენელად. კიევის სათვისტომოს საქმეებში მხურვალე მონაწილეობას იღებდა და ერთ მოწინავე სტუდენტად ითვლებოდა.

მაგრამ კიევის უნივერსიტეტიც ჩქარა დასტოვა და დორპატის უნივერსიტეტში გადაირიცხა. კარგი მიმართულების და ჯან-ღონით სავსე ახალგაზდა იყო და მისგან ამხანაგები მომავალში ბევრს რასმე მოველოდით. **ამხანაგი.**

## საგულისხმო წერილი *)

მოწყალეო ხელმწიფევ ბ. რედაქტორო! თქვენი პატივცემულ გაზეთის დამატებაში 1910 წ. 24 ოქტომბრისა № 25 მოთავსებული იყო სურათი თქვენი თანამემამულე ვიქტორ დოლიძისა, მანდოლინისტების კონკურსის გამო, სადაც მან მიიღო დაკვირისთვის პირველი ჯილდო. ახალგაზდა მემუსიკე არ დაკმაყოფილდა იმისთანა უბრალო სამუსიკო ინსტრუმენტს, როგორიც არის მანდოლინა, მან გულ მხურვალედ მოჰკიდა ხელი სკრიპკას და სასწავლებლად მე მომებარა. ჩემთან ეს ორი თვეა რაც სწავლობს და ამ მოკლე ხანში გასაოცარის სიადვილით გაიარა მთელი სკოლა და პოზაციები.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს და იმედი გვაქვს რომ პატივცემულ დირექტორის ხმა უკვალოდ არ ჩაივლის. **რედ.**

ვიქტორ დოლიძე დაჯილდოვებულია მუსიკალურის ნიჭით, იშვიათის შრომის მოყვარეობით (დღეში 6—7 საათს ვარჯიშობს) და ალღოიან მუსიკალური სმენით, ახლო მომავალში იგი დაიჭერს თვალსაჩინო ადგილს გამოჩენილ მესკრიპკეთა შორის. დარწმუნებული ვარ ეს ამბავი გაგახარებთ, მით უმეტეს რომ ქართველთა შორის ძლიერ ნაკლებია რიცხვი ნიჭიერ მესკრიპკეთა. სწორედ ამისთვის მოვმართე წერილით თქვენ რედაქციას.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი
**ედუარდ ზიბერტი**
კიევის სამუსიკო სკოლის დირექტორი.

P. S. საუბედუროდ, ამ ნიჭიერ ჭაბუკ—მემუსიკეს ხელთ უპყრია მხოლოდ თუმნიანი სკრიპკა. ხომ იცით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა ადამიანი ხელს მიაჩვევს გამუდმებით რომელიმე ძველ სკრიპკას. აი თუნდ, შეიძინოს ძველი სკრიპკა ამატი!! მართალია, ეს ცოტა ძვირად იქნება, მაგრამ იმედი მაქვს ქართველ ქველმოქმედებში აღმოჩნდება სათნო გულის პატრონი და კეთილ საქმისთვის არ დაიშურებს მათთვის სრულიად უმნიშვნელო ფულს. **ე. ზ.**

# ბალკანეთის ომი

### დეპეშები

**23 ნოემბერი.**

**სოფია.** მოსული ცნობებით ადრიანოპოლის მდგომარეობა ფრიად საშიშია. საგზლის უქონლობა ძალიან აწუხებს ჯარს. ციხის უფროსს ბულგარებმა წინადადება მისცეს დაჰნებებოდა, რაზედაც გადაჭრითი უარი მიიღეს. ამის შემდეგ ბულგარებმა დაუშინეს ყუმბარები; დროებითი ზავის ჩამოვარდნის გამო იერიშის მიტანა ადრიანოპოლზე შეჩერებული იყო.

**სალონიკი.** ჩერნოგორიის მემკვიდრის მოსვლას მოელიან. 7.000 ტყვე პირეიში, სტულისში, კალხისში და მაირში დაიგზავნა.

**საზავო მოლაპარაკება.**

**სტამბოლი.** ოფიციალად არის ცნობილი დროებითი ზავის ამბავი ერთი მხრივ ოსმალეთისა და მეორე მხრივ ბულგარეთისა, სერბიისა და ჩერნოგორიისა.

ცნობა, ვითომც ბალკანეთის კავშირი დაირღვა, ტყუილია; საბერძნეთი ორი დღის შემდეგ ხელს მოაწერს ხელშეკრულებასო, ასე ჰფიქრობენ მმართველ წრეებში. საზავო მოლაპარაკება დაიწყება 1 დეკემბერს ლონდონში. ალყაშემორტყმულ ციხეებსაც მაშინ მიაწვდიან სანოვაგე სურსათს.

ოსმალეთის დელეგატები საღამოს 6 საათზე დაბრუნდნენ ბახჩკიოიდან. თან მოიტანეს დროებითი ზავის ოქმი. მონაწილეობა მიიღეს მინისტრთა თათბირში. საზავო მოლაპარაკებისთვის ოსმალეთი დელეგატად ჰნიშნავს ვაჭრობის მინისტრს რეშიდ-ფაშას, ელჩს ბერლინში—ოსმან ნაზიმ-ფაშას და მგონი გარეშე საქმეთა მინისტრს ნურადუნგიანს.

**ცეტინიე.** მთავრობას ჯერ ნამდვილად არ მოსვლია დროებითი ზავის ცნობა.

**სოფია.** საზავო მოლაპარაკებისთვის ბულგარეთი დელეგატებად ჰნიშნავს დანევს, ლონდონის ელჩს მაკაროვს და გენერალ სავოვს. მოკავშირე სახელმწიფოებს თითო რწმუნებული ეყოლებათ.

**ათინა.** გაზეთი „ესტია" სწერს: საბერძნეთის ელჩის განცხადებამ პარიზში, ვითომც დროებითი ზავის პირობები ოსმალეთის მხრივ ომს მნიშვნელობას უკარგავს, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე მის სიტყვებს ისე ჰხსნიან, როგორც უთანხმოებას მოკავშირე სახელმწიფოთა შორისო. რომანოსას სიტყვებს ეს მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს. რასაკვირველია, ყველა სახელმწიფო ეცდება თავის სასარგებლო პირობები აღნიშნოს ზავის ჩამოგდების დროს. ზავის შედეგი სხვა და სხვა სახელმწიფოებისთვის ერთნაირი როდი იქნება. სხვა და სხვაობა პირობების დაფასებისა სრულიადაც არ ჰნიშნავს კავშირის დარღვევას. საბერძნეთი მოითხოვს ეგეის ზღვის ბლოკადას, ეს მოკავშირეთათვისაც არის სასარგებლოო.

**ათინა.** ათენის სააგენტო უარ ჰყოფს „ნეი-ფრეი-პრესსეს" ცნობას, ვითომც სერესთან მოხდა შეტაკება ბერძნებსა და ბულგარებს შორის. მოკავშირეთა ურთიერთობა ძველებურად მეგობრულიაო.

**ცეტინიე.** ბულგარეთის (ელჩმა?) ოფიციალად შეატყობინა ჩერნოგორიის მთავრობას დროებითი ზავის ჩამოვარდნის ამბავი.

**ათინა.** პრესა აღნიშნავს, მოკავშირე სახელმწიფოსთვის დროებითი ზავი საზარალოაო. ოქმის ხელის მოუწერლობა საბერძნეთს არ შეუშლის ხელს მიიღოს მონაწილეობა ლონდონის საზავო მოლაპარაკებაში.

**ბელგრადი.** სერბიის რწმუნებულნი უკვე მიემგზავრებიან ლონდონში.

# ბალკანეთი და ევროპა

### დეპეშები.

**სტამბოლი.** პორტამ დიდ სახელმწიფოთა წინაშე პროტესტი განაცხადა, ბერძნებისა და ბულგარების დაპყრობილ ადგილებში მოქმედების გამო. მუსულმანებს თურმე ძლიერ ავიწროვებენ ისინი.

**რომი.** ვალონიდან იტყობინებიან: 21 ნოემბერს ბერძნებმა ქალაქს სროლა აუტეხესო. ერთი ყუმბარა დაეცა ავსტრია-ჰუნგრეთის და იტალიის საელჩოს შუა. ხომალდების უფროსმა განაცხადა, ნაბრძანები მაქვს ყუმბარები დავუშინო ალბანეთის სანაპიროებს, რადგანაც ოსმალეთის მიწა-წყალს შეადგენსო.

**პარიზი.** პალატის გარეშე საქმეთა კომისიაში პუანკარემ განაცხადა, რომ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების დაწვრილებითი ცნობების გადაცემა არ შეუძლიან, რადგანაც ამისი თანხმობა არა აქვს სხვა სახელმწიფოებისაგან. მინისტრმა აღნიშნა საფრანგეთის მშვიდობის მოყვარე პოლიტიკა. სთქვა, რომ იგი მუდამ დაინტერესებული იყო ინგლისის და რუსეთის აზრით ბალკანეთის საქმეების თაობაზეო. რუსეთი და საფრანგეთი იანვრიდან შეუდგნენ ბალკანეთის საკითხის განხილვას. საფრანგეთსაც აქვს ცოტაოდენი ინტერესი ბალკანეთში და თავის გავლენის დაკარგვას არ მოიწადინებსო. ეს მეგობრულად მოაგონა ბალკანეთის სახელმწიფოებს და ამის გამო გაჰმართავს მათთან მოლაპარაკებასო. ოსმალეთის მიმართ საფრანგეთს სასტიკი ნეიტრალიტეტი ჰქონდა დაცულიო. პუანკარემ ბოლოს სთქვა, რომ საფრანგეთი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს საქმეების მიმდინარეობას და საქმით ანხორციელებს მეგობრულ და მშვიდობის მოყვარე პოლიტიკასო.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ**

**23 ნოემბერი.**

**პარიზი.** გარეშე საქმეთა კომისიაში ლიოტემ სთქვა, ეცდება უექსპედიციოდ და უომოდ შევიდეს მაროკოში. ეხლა მშვიდობიანობაა, თუმცა მღელვარების დაწყება შესაძლებელიაო. მაროკოს ხარჯ-აღრიცხვა 16 მილიონს უდრისო.

**თეირანი.** მოსალოდნელია კაბინეთის გამოცვლა. უფრო შრომის მოყვარე ელემენტი უნდა გააძლიერონ კაბინეთში.

**პეკინი.** ლუჩჟენსიანის ცნობით, განკარგულებაა მოხდენილი რუსეთ-აზიის ბანკის ბოიკოტის წინააღმდეგ.

**ახალი ბუხარა.** ემირი მოვიდა.

**რუსეთი**

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ მოიწონა სახელმწიფო სათათბიროში შესატანად გზათა მინისტრის კანონპროექტი დამატებითი ასიგნაციების გამო. უნდა ეთხოვოს 4.174.020 მან. სხვა და სხვა, მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მოიწონა აგრეთვე ვაჭრობის მინისტრის წერილი, კანონპროექტები, მინისტრთა საბჭომ დააკმაყოფილა წინადადება მიწათმოქმედების მთავარ გამგეობის უფროსისა, მიეცეს ენისეის გუბ. და აკმოლინის ოლქში ცხენისა და საქონლის მომშენებლებს 200.000 დესეტინა მიწა.

**პეტერბურგი.** ქალაქის უფროსმა დააჯარიმა „ვეჩერნეე ვრემიას" რედაქტორი სუვორინი 400 მანეთით.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს კანცელარიამ მიართვა, ყოფილ მდივანს საზონოვიჩს ადრესი. საზონოვიჩმა მადლობა გამოუცხადა.

# მუშათა შორის

სათათბიროს გახსნის წინა დღეს პეტერბურგში მუშათა შორის ჩხრეკა იყო. გაჩხრიკეს განსაკუთრებით პროფესიანალურ კავშირთა წევრნი. ჩხრეკამ მთავრობის საწინაღმდეგო ვერაფერი აღმოაჩინა, მაგრამ მაინც დაატუსაღეს: კავშირის იურისკონსულტი ნაფიცი ვექილის თანაშემწე ლაპჩინსკი და კავშირის კანტორაში მოსამსახურე ეგოროვი.

როგორც „რუსკ. ვედ"-ი გადმოგვცემს, პეტერბურგში თხუთმეტ ათასამდე მუშა გაფიცულა:

# რუსეთი

**მინისტრთა საბჭოს სხდომა.**

16 ნოემბერს მოხდა მინისტერთა საბჭოს სხდომა. სხდომამ განიხილა საგზაო ხარჯის (პრაგონის) საკითხი. ეს საკითხი რამდენჯერმე აღიძრა მინისტრთა საბჭოში, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება არა ჰღირსებია სხვა და სხვა მიზეზების გამო. ამ ბოლო დროს ფინანსების მინისტრმა თავს იდვა შემუშავება შესაფერი კანონპროექტისა, რაიც ამ საკითხს მოაწესრიგებს.

ძირითადი დებულება ამ კანონპროექტისა შემდეგია: საგზაო ხარჯი უნდა განისაზღვროს ბილეთის ღირებულების მიხედვით, სადაც რკინის გზა არ არის, ცხენების რაოდენობის მიხედვით. იმ პირთ, ვისაც ფულის გადახდა არ სჭირიათ, საგზაო ფული მიეცემათ. მინისტრთა საბჭომ მოიწონა ფინანსთა მინისტრის კანონპროექტი და დაადგინა, მოახდინოს საუწყებათაშორისო თათბირი ამ საკითხის გამო.

# თეატრი და ხელოვნება

**ტფილისი.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 24 ნოემბერს, ქართულ თეატრში დანიშნულია ბენეფისი არტისტ ქალის ნ. ჯავახიშვილისა. წარმოსადგენად დანიშნულია „ღალატი". ამ წარმოდგენისათვის შეკერილია ახალი ტანისამოსი, დახატულია ახალი დეკორაცია და სხვა. ზეინაბის როლს შეასრულებს ქ-ნი ნ. ჯავახიშვილი.

---

ნუ გადმიყვანთ ღვთის სიტყვასა
**ერს მეფე ვერ უღალატებ,**
წავალ, და თუ ღმერთს სწადიან,
ერისათვის თავსა დავსდებ".

დიმიტრის ღვთისაგან დაწესებულ ვალდებულებად მიაჩნია ერისათვის თავგანწირვა და მასვე ურჩევს „ღვთის სახელით" მღვდელ-მთავარი. ამგვარად, ზემოხსენებულ დამოკიდებულების სრული სურათი მოგვცა ილიამ ამ პოემაში.

თვით ფორმა ამ პოემისა, მისი თანდათანობით განვითარება ილიას ძვირფასად აქვს შესრულებული. ბრმა მეფანდურე თვისი მწარე სიტყვებით საქართველოს დაკარგულ დიდებისა და აწმყო ბედშავ მდგომარეობის შესახებ ლახვარივით ჰსერავს ყველა მათ გულს, „ვისაც კიდევ შერჩენია მამულის ტრფიალი."

მეფანდურემ „დაჰკრა ფანდურსა და დამღერა ნელის ხმითა". ეს ფანდურია მის განუყრელი მეგობარი, რომელსაც იგი ბრმა მეფანდურე უზიარებს გულზე მოწოლილ დარდებს და რომლის მკვნესარ ხმებში ჩააქსოვს საქართველოს უნუგეშო მდგომარეობის გოდებას.

ვგონებ, არ უნდა მოიპოვებოდეს ისეთი ქართველი, რომელმაც ზედმიწევნით თუ არა, დაახლოვებით მაინც არ იცოდეს ილიას „დიმიტრი თავდადებული" და მის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

გადავალ ილიას დიდებულ პოემაზე **„განდეგილი"**, რომელიც აპოთეოზია განდეგილობის უარისყოფისა.

„განდეგილი" უკვე გავარჩიეთ „სახალხო გაზეთის" ფურცლებზე; ამ ჟამად მკითხველის უმთავრეს ყურადღებას განსაკუთრებით ორ რამეზე შევაჩერებთ: იმ ადგილას, სადაც განდეგილი დაყუდებულა და მწყემსის ქალის სილამაზის აღწერაზე. ხშირად ამბობენ; ილიას მიერ განდეგილის ბინის აღწერა ძალიან გადაჭარბებულიაო, აბა როგორ შესძლო ადამიანმა იქ ასვლა, „სად მეუფება ჭექაქუხილსა, ყინულს და ქართა მხოლოდ შთენია, სად უდაბურსა მას მყუდროებას კაცთ ჟრიამული ვერ შესწვდენიაო" და რომელსაც „ორბნი, არწივნი ვერ შეხებიანო". შეიძლება კაცმა შედარება იხმაროს, მაგრამ ყველაფერში საზღვარია საჭიროო და სხვა.

შეიძლება ამ სიტყვებში სიმართლეც იყოს, მაგრამ უპირველესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ილიამ განგებ დაგვისურათა განდეგილის სამყოფი ადგილი ასე მიუწდომელად, რათა მით ნათლად ეჩვენებინა, თუ რა არაჩვეულებრივი სულის პატრონი იყო განდეგილი; გარდა ამისა ილიას ჰსურდა ცხად ეყო ცხოვრების ძლიერება, მისი ყოველგან მიმწვდელობა: განდეგილი იქ ავიდა, „სად მეუფება მხოლოდ ჯექა-ქუხილსა შთენია"; ცხოვრებამ იქაც მიაღწია და მშვენიერი ქალწულის სახით განდეგილის ვიწრო სენაკში შეჭრილმა იქაც აჩვენა თვისი ძლიერება, თვისი წარმტაცი მშვენიერება. მაშასადამე ილია გვასწავლის: კაცი ცხოვრებას ვერსად გაექცევა: იგი ყოველგან თან წაგვყვება და პირველსავე შემთხვევის დროს წარმოგვიდგენს თვის მოთხოვნილებაათ. ამასთანავე ნუ თუ ყოველგვარი მხატვრული შედარება პირდაპირ უნდა მივიღოთ?! მაშინ ხომ რაღაც სისულელე იქნებოდა რუსეთის დიდებულ მწერლის გოგოლის მიერ მხატვრულად დასურათებული დნეპრი და მრავალი სხვა!

„ილიას მწყემსი ქალის სილამაზე ცოცხალი ფერადებით არა აქვს დასურათებული; უფრო ზოგადი, განყენებული შედარებები აქვს ნახმარი და ეს შედარებანი მკითხველის გონებაში ვერავითარ სურათს ვერ ჰქმნიანო, ასე მსჯელობს ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსი და თვისი აზრის დასამტკიცებლად სხვათა შორის მოჰყავთ აკაკის სილამაზის დასურათება, მაგალითად ნათელასი, რომლის სახის თვითეულ ნაწილს პოეტი ცალკე ასწერს.

მართლაც, ვინ იტყვის რომ ჩვენი პოეზიის შუქურ-ვარსკვლავს აკაკის ძვირფასი დასურათება არ ჰქონდეს თვის ნაწარმოებში სილამაზისა, თუ რომელიმე საგნისა და მოვლენისა, მაგრამ მისი დასურათების მაგალითად მოტანა აქ სრულიად უადგილოა, რადგან ილიას მიერ დახატული ქალის სილამაზე საუცხოვოა ყველა მათვის, ვისაც შეუძლია დააფასოს მხატვრული შემოქმედების ნაყოფი და ვისაც თვალის იერი არ დაჰკარგვია. ამასთანავე ნუ თუ ყველა მწერალმა ერთგვარი ფერადები უნდა იხმაროს თვისი მხატვრულ სურათებისათვის? თვითეული მწერალი განცალკევებული ინდივიდუალობაა. თვისი შემოქმედებით და წერის განსხვავებული მანერით და მოდი ყველა მწერლებს მოვსთხოვოთ: ერთგვარად სწერონ და ერთნაირად გააშუქონ ყოველივე მოვლენა!? მაშინ კაზმული მწერლობა უფრო მზარეულის მიერ შემზადებულ ბოზბაშს ემგვანებოდა ან რომელიმე ქურქლის ქურხანაში გაკეთებულ ჩაის ჭურჭელს.

კერძოდ, როდესაც ილიასა და აკაკის ერთმანეთს ადარებენ, არ უნდა დაივიწყონ ის არსებითი განსხვავება, რომელიც მათ შემოქმედებაში იმარხება და რომელიც მათ პოეტურ ენას განსაკუთრებულ ელფერს აძლევს. ილია უმეტესად მოაზრეა, თვითეული სიტყვის მრავალ-ჯერ ამწონ-დამწონი; აკაკი თავისუფალი შემოქმედებაა, მთის ჩანჩქერივით მოსრიალე; ილია ღრმა ბუნებაა, უბრალო შემთხვევისაც კი გონების სიღრმეში გამტარებელი, აკაკი მთის ლაღი ნაკადია, მთის ნაპრალებზე ლიკლიკით მოჩუხჩუხე; რასაც აკაკი ერთი ხელის მოსმით ათავებს, მას ილია ხანგრძლივ ასწონ-დასწონის. ამის და მიხედვით განსხვავდება მათი ენაც: აკაკის ენა მსუბუქია, ვით მთის ნიავი, ილიას ენა ღრმა და მხიბვლელი, ვით ილიას შემოქმედება. ამ შედარებით ის კი არა მსურს, რომ რომელიმეს მივსცე უპირატესობა, არამედ ხაზი გაუსვა მათ შორის არსებულ განსხვავებას.

რუსეთის შესანიშნავი პოეტი პუშკინი თვის ისტორიულ პოემაში „პოლტავა", კოჩუბეის ქალიშვილის, მარიას შესახებ სხვათა შორის ამბობს: იგი ტანადოვანია, როგორც კიევის სიმაღლეთა ალვისხეო (какъ тополь Кіевскихъ высотъ она стройна). რუსეთში რამდენია ისეთი პირი, რომელსაც კიევი თვალითაც არ უნახავს, მით უმეტეს მისი სიმაღლენი და აბა როგორ უნდა წარმოიდგინოს მარიას ტანადობა! ილია კი ყველასათვის გასაგებად აღწერს მწყემსი ქალის სიმშვენიერეს:

„თვით მადლს ტრფობისას რომ
მოესურვოს
ხორცსხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,
უკეთეს სახეს ვერ ინატრებდა
თავის სიცოცხლის გამომსახველად",

და ცოტა ქვევით:

„თვით შური, მტრობა ვერ
უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერ ნაკლსა".

იგი ისეთი მშვენიერი რამ იყო, რომ „მხეციც კი გაავთრებული მის წინ დატკბება და დაწყნარდება".

საბერძნეთის დიდებული პოეტი ჰომიროსი ასე აგვიწერს, სხვათა შორის, მშვენიერ ელენეს წარმტაც სიტურფეს: მოხუცნი ელენეს დანახვაზე ურთიერთს ეუბნებოდნენ: ეგ ქალი ღირსია, რომ მაგისათვის ომი სწარმოებდეს და სისხლი იღვრებოდესო. ნუ თუ მოემატება რამე ამ აღწერას, რომ პოეტი ელენეს სახის ნაწილების ცალ-ცალკე დასურათებას შესდგომოდა: მოხუცნი, რომელნიც თავისუფალნი არიან ახალგაზდური აღტაცებით და აღფრთოვანებით მშვენიერი სქესის წარმომადგენელის ხილვის დროს, აღიარებენ: ეს ქალი ისეთი მშვენიერი რამ არის, რომ ღირსია მისთვის ომი სწარმოებდეს და მაშასადამე მრავალი ათასი ადამიანი ეთხოვებოდეს წუთის-სოფელსო.

ილიაც არ გვაძლევს მწყემსი ქალის სახის ნაწილების ცალ-ცალკე დახასიათებას, მხოლოდ საერთოდ ამბობს:

თვით შური მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერ ნაკლსო.

და აბა რა მშვენიერება უნდა ყოფილიყო ის ქალი, რომელსაც თვით შური და მტრობა ვერა ნაკლს უპოვიდა! აქ საჭიროა ცოტაოდენი დაფიქრება და სურათი მწყემსი ქალისა ცხადლივ წარმოგიდგებათ თვალ-წინ.

მშვენიერი სურათი აქვს აგრეთვე ილიას იმ განდეგილს, რომელსაც ყოველივე ფიქრი და ზრახვა ამ ქვეყნიური, განუშორებია და მხოლოდ საიმქვეყნო ცხოვრებით სცხოვრობს:

სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდედი გადაჰფენოდა და სხვა.

ამასთანავე შეუდარებელი ხელოვნებით აქვს გადმოცემული ილიას ის ფსიხოლოგიური მომენტი განდეგილის ცხოვრებიდან, როდესაც მასში მშვენიერი ქალწულის ხილვით ერთბაშად იღვიძებს წლობით დახშული სიცოცხლის გრძნობები და განდეგილის შინაგან არსებაში ცხარე ბრძოლა ასტყდება შექმნილ მოვალეობისა და სიცოცხლის მოთხოვნილების შორის!

მშვენიერი ქალის გულუბრყვილო საუბრით და ბოლოს იმ წარმტაცი სანახაობით, რომელსაც განდეგილი მშვენიერი ქალის სახით იხილავს, როდესაც იგი ცეცხლის პირადაა მიძინებული, განდეგილის სულში აშლილნი სიცოცხლის გრძნობანი თავისას ითხოვენ და იგი უკვე მზადაა დაეკონოს გაპობილ ბაგეთ, მაგრამ წლობით შემუშავებულმა თავ-დაკავებამ აქაც აჩვენა თვისი თავის და განდეგილი ასეთ ნაბიჯისაგან შეაჩერა; თუმცა იგი უკვე დამარცხებულია და როგორც მეტად მტკიცე სულის პატრონი ამ დამარცხების მსხვერპლიც ხდება.

სცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ ილიამ თავისი განდეგილი დასაჯა **მხოლოდ** იმისათვის, რომ მან დაივიწყა საზოგადო მოვალეობა; არა, განდეგილმა უარჰყო პირველად ყოვლისა პირადი ბედნიერება, რომელსაც სიცოცხლე გვანიჭებს, მიუხედავად მრავალი მწარე წუთებისა და მაშასადამე შესცოდა თავის პიროვნების წინაშე, რადგან მოაკლებს ამ ქვეყნიური სიამოვნება და რაღაც განყენებულის აზრით ცივ მთაკლდეთ მიაშურა და შესცოდა საზოგადოებას, უკუაგდო რა მის წინაშე მოვალეობის ასრულება.

(დასასრული იქნება)

**ალ. წერეთელი.**

**ტფილისი.** ქართული დრამატიული დასი შეუდგა მზადებას რამდენიმე ახალი პიესებისას. ამ ჟამად დასი ამზადებს ბ-ნ დ. ნახუცრიშვილის 4 მოქმედებიან დრამას ჩვენის სოფლის ცხოვრებიდან **„ოჯახის ბურჯი“.** ეს დრამა წარმოდგენილ იქნება 29 ნოემბერს მსახიობ ქალის ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ. მზადდება აგრეთვე ორიგინალური პიესა ლეო ქიაჩელისა: „სამღვდლის შვილი“, 5 მოქ. დრამა; „ჰენრიხ ნავარელი“ თარ. ბარველისა, „გუგენოტების ამოჟლეტა“ დრამა 5 მოქმ. თარ. მისივე და სხვ.

**ზუბალაშვილის სახალხო სახლი.** ორშაბათს, 26 ნოემბერს **ნ. გოცირიძის საბენეფისოდ,** ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრე მსახ. ქ. ელ. ჩერქეზიშვილის და ბ. ვ. გამყრელიძის მონაწილეობით გამართავს სადღესასწაულო წარმოდგენას თავის დაუღალავ მუშაკის პატივსაცემად. წარმოდგენილნი იქნებიან: I „მსხვერპლი“ მხოლოდ 1 მოქ. დრ. გედევანიშვილისა, II „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი“ ბუფონადა 1 მოქ. თარ. კ. ხახანაშვილისა, III „ხანუმა“ კომ. ა. ცაგარლისა მხ. 2 და 4 მოქ. მობენეფისე შეასრულებს უმთავრესს როლებს, რომელთაც საუკეთესო ადგილი უჭირავთ მის მრავალფეროვან რეპერტუარში.

დასაწყისი სალ. 8 საათზე.

29 ნოემბერს დანიშნულია **ქართული სახალხო კონცერტი** ჩვენი ნიჭიერ კომპოზიტორის **კ. ფოცხვერაშვილისა.**

**გორი.** ხვალ, 25 ნოემბეს, გორის საკრებულო დარბაზში ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასი ბ-ნ ზარდალიშვილისა, შალიკაშვილისა და სხვათა მონაწილეობით გამართავს წარმოდგენას. დასდგავენ ბ-ნ ნ. შიუკაშვილის დრამას „სიძახინჯე“-ს და ვოდევილს „სხვა გვარი სიყვარული“. წარმოდგენა საღამოს 8 საათზე დაიწყება.

**ქუთაისი.** შაბათს, 17 ნოემბერს, ადგილობრივმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ა. დიუმაშვილის 5 მოქმედებიანი დრამა „მარგარიტა გოტიე“, რომელმაც დიდძალ საზოგადოებას მოუყარა თავი: თეატრი სავსე იყო, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზდობით. წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად ჩაიარა.

საუცხოვო იყო ქ-ნი ნინო ჩხეიძე მარგარიტა გოტიეს როლში. იშვიათად შეიძლება—უფრო გრძნობიერად, უფრო ბუნებრივად შეასრულოს ადამიანმა ეს როლი. მისი მტკბარი ხმა, ხან უზრუნველობის, უსაზღვრო მხიარულების გამომხატველი, ხან უზომო ტანჯვის, მწუხარების გამომთქმელი, მისი თავისუფალი, ბუნებრივი მიხვრა-მოხვრა, მისი მადლიანი სახე, სულის კვეთების სავსებით ამბექდავი,—ყველა ს ჰხიბლავდა მაყურებელ საზოგადოებას და ავიწყებინებდა, რომ მის წინ იდგა ქ-ნი ნ. ჩხეიძე და არა ნამდვილი მარგარიტა გოტიე.

თუმცა გრძნობიერი იყო ბ. იმედაშვილის თამაში, მაგრამ მის მიერ წარმოდგენილმა არმან დიუვალმა ვერ დაგვაკმაყოფილა: ჩვენის აზრით, არმანი უფრო მოქნილი, ელასტიური უნდა ყოფილიყო.

ბ-ნი შარაშიძე (გასტონ რიე) არაოდეს არ მოგვწონებია ისე, როგორც ამ საღამოს: მისი თამაში ძალდაუტანებელი, ბუნებრივი იყო. გულწრფელად ვურჩევთ ბ-ნს შარაშიძეს, რომ ერიდოს დრამატიულ როლებს, ჯერჯერობით მაინც.

სამაგიეროდ ბ-ნი არადელი-იმხნელი არაოდეს არ გვინახავს ისე სუსტი, როგორც ამ საღამოს დიუვალის (არმანის მამის) როლში: თითქო ენა ებმებოდა, სიტყვებს ყლაპავდა, გრძელ პაუზებს აკეთებდა, აკლდა დარბაისლობა, რიხიანობა და სხ.

ძლიერ უხერხულად ასრულებდა ნანინის როლს ქ-ნი ა. ჩხეიძე.

ძლიერ სუსტობდა ბ-ნი მაჭარაშვილი გრაფ ჟირჟის როლში: ის დაღოლცვილი ისე იჯდა სავარძელში, თითქო ეშინოდა სავარძლის გაჭუჭყიანებისა.

ბ-ნს ამაშუკელსაც (ექიმი)—ეტყობა იშვიათად ჰქონია საქმე ექიმებთან.

დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდენ.

დასასრულ საჭიროდა ვცნობ მოვუწოდო მოსწავლე ახალგაზდობის კეთილგონიერებას, რომ დაიცვას თავისი ღირსება და მიიღოს საჭირო ზომები ზოგიერთი ამხანაგის უზრდელობისა და თავგასულობის ასალაგმავად: რომ ზოგიერთი მოწაფე იჭერს სხვის ადგილს და თუ სთხოვეს ადგილის დაცლა, ბოდიშის მაგიერ, შეურაცყოფასაც კი აყენებს ადგილის პატრონს; წარმოდგენის დროს უადგილოდ იცინის, უწმაწურ სიტყვებს ისვრის, ლაზღანდარობს; თეატრში შემოდის და ქუდს არ იხდის თუ წინ ვინმე შეხვდა, ნაცვლად იმისა, რომ თავაზიანად გზა დაუთმოს, მკერდით ეტაკება და სხვა.

**ბაქო.** აქაურმა დრამატიულმა სექციამ 18 გიორგობისთვეს გამართა **სალიტერატურო საღამო.** პროგრამმა იყო ფართო და ვრცელი და შესაფერისადაც შესრულებული. საღამო გაიხსნა „პარიზელ ბიჭით“, რომელშიაც ქ. ვიქტორელმა თავი იჩინა და მშვენივრად შეასრულა ჟოზეფის როლი. მისი თამაშით დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოვიდა და ხანგრძლივი ტაშის-ცემით დააჯილდოვა.

მეორე განყოფილებაში ბ. ლ. ახობაძემ წაიკითხა ლექცია: „ნ. ბარათაშვილი და მისი პოეზია“. შემდეგ ბ. პავლიაშვილმა ცოცხლად და მშვენივრათ დაგვისურათა გლეხი თავისი ქირ-ვარამით და შეხედულებით. ბევრი აცინა ხალხი ბ. შველიძემ. შემდეგ გამოვიდა გრიშაშვილი, და მშვენივრად წაიკითხა თავისი ლექსები. შემდეგ აქაურმა ქართულმა ხორომ შეასრულა რამოდენიმე ხალხური სიმღერები. საღამო დაათავა ისევ გრიშაშვილმა.

თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო. დამსწრე საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა, და სურვილი გამოსთქვა, რომ ხშირად გაიმართოს ამგვარი საღამო.

**გრიშა ჭირაქაძე.**

## ადესის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მოვალეების საყურადღებოდ.

არა ერთხელ და ორჯელ დაბეჭდილა წერილი ადესის ქარ. სტუდ. სათვისტომოს მოვალეთა საყურადღებოდ, მაგრამ თავის დანიშნულებამდის ვერ მიუხწევია. ყველამ კარგად იცის და მით უმეტეს თვით მოვალეებმაც, თუ რა გაჭირვებაში არიან სტუდენტები, როგორ მდგომარეობას განიცდიან ხოლმე მეტადრე მაშინ, როდესაც ფულის შეტანის დრო ახლოვდება; რამდენს მოელის უნივერსიტეტის გარეშე დარჩენა და ამით წლების და ან სამუდამოდ გამოთხოვება უნივერსიტეტიდან, იციან რომ ღარიბ სტუდენტებს არავითარი საშუალება არა აქვთ, უმეტეს ნაწილად, სხვა სახსრის გამონახვისა და თუ სათვისტომომ მაინც არ აღმოუჩინა შემწეობა ძალიან ცუდი შედეგი მოელით მათ. ძველმა მოვალეებმა ეს კარგად იციან და თავის ზნეობრივ მოვალეობად უნდა ივთლიდენ ხელი გაუწოდონ ამგვარ გაჭირვებულ ამხანაგებს და სათვისტომოდან წაღებული ფული (რამაც შეიძლება არა ერთხელ დაიხსნა ისინი გაჭირვებიდან), გამოგზავნონ.

მაგრამ, სამწუხაროდ, მოვალეებს ავიწყდებათ თავიანთი ვალი და იძულებული ვართ უკანასკნელად კიდევ მოვაგონოთ, რომ ვალს გადახდა უნდა. ამით ჩვენ ზნეობრივ მოვალეობას ვიხდით და თუ ორი კვირის განმავლობაში ამ გამოცხადების შემდეგ ისინი ისევე უყურადღებოდ დასტოვებენ ამ მოგონებას, მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით გაზეთისავე საშუალებით გამოვაცხადოთ მათი გვარები.

დიდს მადლობას ვუძღვნით იმ პირთ, რომელთაც მოგვაწოდეს თავიანთი ხვედრი ვალი.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: до востребования. Ив. Карбелашвили

ამხანაგების მინდობილობით: **გრ. ციციშვილი, კ. ბარნაბიშვილი, ივ. კარბელაშვილი, ი. მასხულია, ე. კუპრაშვილი.**

## იაკობ გოგებაშვილის ფონდი

მიმდინარე წლის 15 სექტემბერს საბლოლოჩინო კრებაზე სამღვდელოთა შორის შეგროვილ იქმნა **იაკობ გოგებაშვილის** ფონდის სასარგებლოდ შვიდი მანეთი და ათი შაური. ამას გარდა მე მქონდა შეგროვილი ჩემ მრევლ შორის 12 მანეთი, რასაც, ფოსტის ხარჯის გამოკლებით ამ წერილ თან ერთად გიგზავნით *) ფოსტით და გთხოვთ ფული გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

სია შემომწირველთა: თითო მანეთი მღვდლებმა: ზ. ხვადაგაძემ, ი. ხახუტაშვილმა, ქოქოშვილმა და სხირტლაძემ. ათ-ათი შაური მღვდლებმა: სამადოვმა, სიმონოვმა, მექანაროვმა, მადრიაშვილმა, ნასარიძემ და მედავითნე ლომიძემ. ხუთ-ხუთი შაური მედავითნეებმა: ივანიძემ და ბუზიაშვილმა. 5 მან. თ-დ კონსტანტინე მ. ამირაჯიბმა; ორ-ორი მანეთი: მ. დ. ამირეჯიბმა კ. ნ. ბაგრატიონ-დავითიშვილმა. თითო მანეთი. ვ. ა. ამირეჯიბმა, რ. დ. ამირეჯიბმა, მ. ე. ბაგრატიონ-დავითაშვილმა, დ. გ. ამირეჯიბმა. ათ-ათი შაური: ა. გ. ამირეჯიბმა და გ. დ. ამირეჯიბმა.

ზემოთ ჩამოთვლილ პირთ დიდ მადლობას ვუძღვნით იმ წვლილისათვის, რომელიც მათ აქ დაიშურეს იმ დიად საქმისთვის როგორიც არის განსვენებულ პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის სახელობის ფონდი.

ავლევის სამრევლოს ბლაღოჩინი

**მღ. ზ. ხვადაგაძე.**

*) რედაქციამ მიიღო ბლაღ. მღვ. ხვადაგაძისაგან 20 მან. 85 კ.

## წერილი რედ. მიმართ

„სახალხო გაზეთის“ № 743-ში მოთავსებული იყო ჩვენი, ადესის სტუდენტთა ერთი ნაწილის პროტესტი ქართველების რუსულ გაზეთების წინააღმდეგ.

პართენ გოთუას გაზეთი (იხ. „ზაკ. რეჩის“ 8 ნოემბ.) ძლიერ აღშფოთდა, როგორ თუ შევბედეთ გულთწყრომის გამოცხადება.

„საიდუმლო“ უნივერსიტეტის სტუდენტებს გვეძახის. რაც გინდა დაგვიძახეთ, თქვენ აზრს ანგარიშს არ უწევთ, ყოველ ღონეს ვიხმართ მოძმენი ჩვენი გამოვაფხიზლოთ და რუსულ გაზეთების მოქმედება გავარკვიოთ.

წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როცა ქართველ ხალხის მეთაურობას თქვენისთანა პუბლიცისტები იჩემებდნენ; ჩვენ, სტუდენტებს, მაინც თვალს ვერ აგვიხვევთ.

თუ ძალიან გეინტერესებათ რომელი „საიდუმლო“ უნივერსიტეტის სტუდენტები ვართ, გეტყვით: ჩვენ იმ უნივერსიტეტის სტუდენტები ვართ, რომლის სათვისტომოს ფული 30 მან. 15 წელიწადია რაც პართენ გოთუასა ჰმართებს და არ გვაძლევს; იქნება ეხლა მაინც დარწმუნდეთ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი და თვით ჩვენც არც ისე „საიდუმლო“ ვყოფილვართ, როგორც პართენ გოთუას გაზეთსა ჰგონია.

**სტუდ. ივ. კარბელაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.


## განცხადებანი

თმის საღებავი კაკლის ექსტრაქტისა.

თმას სწრაფად და საფუძვლიანად ჰღებავს, სურვილისამებრ ნაზ-ქერა ფრად, თუ კუპრშავად. თავდებნი ვართ, რომ უვნებელია.

პარფ. № 4711. **თევდ. მიულჰენსი,** მის იმპ. უდ. სრულ. რუს. იმპ. სასახლის იჯარადარი **კოლნი და რ. ● რ ი გ ა.**

დაარს. 1792 წ.





## მატარებელთა მისვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** სამგზ.-საბარგო № 8, სალ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: სახ.-საბ.** № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ.

**ყარსიდან: სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9/10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში: სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65. ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64. დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **საბ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ** № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 п, ნაშ. 6 ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ, **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და I—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები № 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტიანა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

## გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“ საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.** და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.

№ 2. **პარასკეობ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.

№ 1. **სახ.**, **შაბათ**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.

№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** პირდაპირი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ორშ.**, ად. 9 ს. 58 წ.

№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.

№ 1. **სამგზ.**, **პარ.** საღ. 8 ს 58 წ.

№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

**კასპიის ზღვაზე.**

„კავკაზი და მერკური“ საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს**, ყოვ. დღე საღ. 4 ს. 40 წ.

**ენზელს** პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

**ასტარას**, **ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.

**ენზელიდან** ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.

**ასტარიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანიშვილი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დაჩქარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქაჩანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.


## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიშში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. დღ. მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამე ... იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და ... ახლეებს ყოველ დღე, დილის 1—2 ს. ... მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** 1037.

**დიდი ხნის გამოცდილი მკერავი ქალი**

## ვღებულობ საკერავს

**ქალებისა და ბავშვების კაბებს.**

საქმეს ვაბარებ სუფთად, საჩქაროდ ძრიელ ნაკლებ ფასად აგრეთვე **ვიყვან შეგირდებს**, ვასწავლი მორიგების დაგვარად. **მისამართი** ჭავჭავაძის ქუჩა № 12 **ხომასურიძე.** 1603.

## ექიმი ზ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა ხნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 5 ... საათ. კახეთის ქ. № 6.

## ექიმ-ნაკაშიძე-ბაგრატიონ-ნიჟარაძის [?]

## პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

**606**—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნაკაშიძე:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ზ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9 1/2—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. წულაძე:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. პეტროსიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ, ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. პეტროსიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1078 დოქტორი **ბ. ა. ნ გახარდიანი.**

**სურდოს წინააღმდეგ ახალი წამალი**

## „SALO—პირილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზანება ფასდადებით, გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად სააფთიაქო საწყობებში. Метцль 23672. წ. 1161

## ოქროს საათი ხრონომეტრი 56 პროცისა.




ოქროს საათის ადგილას, რომელიც 200 მ. მაგიერ 4 მ.ნ. 70 კ. ღირს, გირჩევთ **ხრონომეტრს**, რომელიც ლოყვა[?]ილობითა და მოხდენილობით ოქროს საათს არ ჩამოუვარდება, რადგანაც საუკეთესო სპეციალისტიც კი ძნელად გაარჩევს ნამდვილ ოქროში. საათი ბუდელია სისქით ვერცხლის მანეთიანის ოდენა ნამდვილ ამერიკულ ახალ ოქროსი, თავის დღეში არა ჰკარგავს თავის პირვანდელ სახეს შტამპ. და ორიგ. სურათ. (იხ. სურათ). საათი **ხრონომეტრი** კაცებისა თუ ქალებისა მუდამ სწორედ დადის, ნამდვილი ანკერია 15 ქვიანი და 40 საათში ერთხელ იმართება. ჩემის ფირმის გა ავრცელებლად ყოველ საათს ს ჩუქრად ვატან 20 სხვა და სხვა ნივთს: 1. ნამდვილ ამერიკ. ოქროს ძეწკვს, 2. ბრელოკს კინემატოგრაფ. მშვენიერ ქალის სახით, 3. ზამშის ტყავ. საათის ბუდეს, 4. ქურდებისაგან საათის უზრუნველმყოფელს, 5—8 ჯიბის ნესესერი ტყავისას 4 აუცილ. საჭირო ნივთით, 9. საზღვარ-გარეთის ნაკეთებ 7 განყოფილებიან ს ფულეს, 10 შემკვეთელის სახელ-გვარიან შტემპელს, 11. შტემპელისათვის საღებავი, 12. დ.ბეჭ. ბეჭედს ნამდ. ამერ. **დუბლესას,** 13, პარიზის პლასტოგ. ყოველგვარ სანახაობის ნამდვილად მაჩვენებელს, 14—19 ამ პლასტოგ. 6 მეტ. დ საგ. ლისხმო სურათი, 20. სათეატრო ბინოკლი 4 ახრომ. ჩვეულებრივ ზომის შუშით, რომელიც შორის მანძილიდან ძალიან აახლოვებს სანახაობას. ყველა ეს მხოლოდ 4 მ. 70 კ. 2 საათი—9 მ. 30 კ. ორთივე სახურავებიანი 5 მ. 70 კ. 2 ასეთი საათი—11 მ. 20 კ. ექვსის წლის თავდებობით. ვგზავნით ფასდადებით და უბეოდ. გასაგზავნი—40 კ., ციმბირში—75 კ.



**მისამართი:** Складъ часовъ Т-во „Аккуратность“, Варшава, отд. 73.

მეტცლ. № 61279. 1590

## ცინკოგრაფია

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა ასრულებს ყოველგვარ**

## კლიშეების დამზადებას.

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდომ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1307

**გამოსულია და იყიდება**

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი

| | | |
|---|---|---|
| I ტ. | „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი | 75 კ. |
| II „ | „ჩვენი საზოგადოებრივობა | 80 კ. |
| III „ | „ნაამბევი“ | 65 კ. |
| IV „ | წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. | 85 კ. |

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა,

თევზის მრეწველნი

## ძმ. ძმეველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

1131

გამოსული ქერჩის სელიოტკები და ყოველგვარი

## კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

✦ შავი ხიზილალა ✦


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.